„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 17.03.2025 წლის №01-03/06 გადაწყვეტილებით
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ოქმი №02-03-06/02. 10.03.2025 წ

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერება

კვალიფიკაცია: ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:
პროფესორი ელზა ფუტკარაძე
პროფესორი მედეა რიჟვაძე

პროგრამის განხორციელების ვადა
2023- 2030 წწ.

1. **პროგრამის სახელწოდება:** ქათველური ენათმეცნიერება

2. **განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

3. **კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი

4. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 **ECTS** კრედიტი: მათ შორის 80 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 10 კრედიტი – არჩევით დისციპლინებს, 30 კრედიტი – სადიპლომო ნაშრომს.

5. **სწავლების ენა:** პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე.

6. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდით და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდით სპეციალობასა და უცხო ენაში.
მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის (ინგლისური) მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. კანდინანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში.
პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ან მომიჯნავე დარგებში.

7. **სწავლების ფორმატი:**
სწავლა წარიმართება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკულების ფორმატით.

8. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

- პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული კომპეტენციის, მაღალკვალიფიციური, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ენათმეცნიერი;
- მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერების სფეროში, რომელიც მოიცავს ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული ონომასტიკის, ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური საკითხების ფართო სპექტრს, შეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოყენება;
- კომპლექსურად განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს, სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების ან სხვა მეთოდებს;
- შეუძლია ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ-დიაქრონიული აღწერა, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, ქართული ენის

მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, ლინგვისტური კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვა-წარმართვა, უახლესი მიღწევებისა და მეთოდების გათვალისწინებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება ;

- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს, კვლევის შედეგებს წარუდგენს სპეციალისტებს ან არასპეციალისტებს,შეძლებს პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობას;
- წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად; პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და უმცირესობათა ენებს, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.

9. სწავლების შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ღრმად და სისტემურად ეცოდინება: **A-1** ქართული ენის ფონემატური საკითხები, სახელის თავისებურება ქართულში, სახელის ფუძის დერივაციული მოდელი, ბრუნვათა ფუნქციები, ზმნური კატეგორიები, ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხები, ზმნურ ფორმათა წარმოების ყალიბი, ზმნის კონსტრუქციები, ქართული ენის წინადადების სტრუქტურა, თავისებურება, შესიტყვების აგებულება და შედგენილობის საკითხები; **A -2** ქართული ენის დიალექტების გრამატიკული თავისებურებანი, ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები; **A -3** სახელზმნის მოდელის ცვლის მექანიზმი ისტორიული თვალსაზრისით, ონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები, ქართული ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემები, ამ პრობლემათა გადაჭრის გზები
უნარი
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს: **B-1** ქართული ენის ფონემატურ, სახელურ და ზმნურ კატეგორიათა, წინადადების სტრუქტურა - მექანიზმის თავისებურებათა შესახებ არგუმენტირებულ მსჯელობას, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე აღწერას, ანალიზს, შეფასებას, ენათმეცნიერული ფაქტების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებას, კრიტიკულ ხედვას, კვლევის შედეგების განზოგადებასა და წარდგენას აკადემიური საზოგადოებისათვის; **B-2** ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხების კლასიფიკაციას, პრობლემების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა-მოძიებასა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; **B-3** ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლემური საკითხების დიფერენცირებას, მათ კრიტიკულ ანალიზს, საკამათო საკითხებზე დისკუსიას თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით, საკუთარი შეხედულების(თვალსაზრისის) ნათლად, აკადემიურად წარმოდგენას, ახდენს კვლევის შედეგების და საკუთარი არგუმენტირებული

მოსაზრებების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ამზადებს პრეზენტაციას ქართული ენის საკითხების შესახებ.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი: **C-1** აცნობიერებს ქართული ენის ეროვნულ და საერთაშორისო ღირებულებას, **C-2**. მოქმედებს პროფესიული ეთიკის დაცვით, შეუძლია სხვისი აზრის შეფასება და პატივისცემა; იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს; **C-3** აქვს შეძენილი ცოდნის განახლება-გაღრმავების, დამოუკიდებელი მუშაობისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარი. ლინგვისტური კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს.

10. სწავლა-სწავლების მეთოდები:

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლისას, სწავლის შედეგების მისაღწევად, იმისათვის, რომ მაგისტრმა მიიღოს ფუნდამენტური ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში, შეიძინოს შეასაბამისი უნარ–ჩვევები, თავადაც დასვას ახალი პრობლემები, მონახოს მათი გადაჭრის გზები და დამოუკიდებლად შეძლოს მეცნიერული საკითხების კვლევა, პროგრამაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

1. **გონებრივი იერიში –** გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
2. **დისკუსია**– დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. **ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში როგორც წერითი, ასევე ზეპირი ფორმით.
4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**- ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს სტუდენტთა წიგნზე მუშაობას.
5. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
6. **დემონსტრირების მეთოდი** – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მასალა მულტიმედიური მეთოდით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეიძლება განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. შესაძლებელია მასალის ელექტრონული გზით მიწოდება. გრამატიკული მასალის ახსნის პროცესში ეფექტურია სქემებისა და დიაგრამების შედგენა (ვენის დიაგრამა, თევზის ჩონჩხი და სხვა).

7. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს უყალიბებს, სტუდენტი შეძენილი ცოდნისა და პროფესორის კონსულტაციის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობებს, როგორიცაა პრეზენტაციის მომზადება, ტექსტებზე დაყრდნობით ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და გამოვლენა , სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ა.შ.

10 . გამოყენებული იქნება შემდეგი ტრადიციული ლოგიკის მეთოდები (ინდუქცია, დედუქცია...):

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** –ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებითი განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი –გულისხმობს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

12. ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი.

13. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

14. წერითი მუშაობის მეთოდი.

15. დისკუსია, დებატები.

16. რეფერატი პრეზენტაციით.

17. შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება, რომელიც გულისხმობს ქართული ენის წერილობითი და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გაციფრებული (დიგიტალური) რესურსებისაგან შემდგარ მონაცემთა ბაზების ჩართვას სწავლების პროცესში. იგი მოიცავს ქართული ენის განვითარების სამივე საფეხურს და შედგება ძველი, საშუალი და ახალი ქართული ენის ტექსტების ქვეკორპუსებისაგან. კორპუსში ასევე შესულია მეგრული და სვანური ტექსტები და დიალექტური ჩანაწერები. ამავე დროს მოიცავს შესაბამის აუდიო და ვიდეო მასალებსაც, აღჭურვილს ფონეტიკური და ლინგვისტური ანოტაციით.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. ლექტორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
3. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
4. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.
5. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
   ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
   ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.
6. ზოგადი საუნივერსიტეტო მოთხოვნის შესაბამისად, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ზრდა დასაშვებია ცალკეულ სასწავლო კურსში, წინასწარი შეთანხმების გზით.
7. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

   დადებითი შეფასებები:

   ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
   ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
   გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
   დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
   ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

   უარყოფითი შეფასებები:

   ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
   ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი არის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სავალდებულო კვლევითი კომპონენტი. იგი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, საჯარო დაცვის წესით. შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: აქტუალობა/სიახლე - 10 ქ; კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა; - 15 ქ; კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან - 10 ქ; საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა - 15 ქ; კვლევის შედეგების დამაჯერებლობა - 10 ქ; ნაშრომის ტასუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა - 5 ქ; გამოყენებული ლიტერატურა - 5 ქ; პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.) – 10 ქ; კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა - 15 ქ; გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა - 5 ქ.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაფორმების, წარდგენისა და შეფასების პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის „მაგისტრატურის დებულებით“.

12. **სასწავლო გეგმა – იხ. დანართი 1.**

13. **სწავლის შედეგების რუკა – იხ. დანართი 2**.

14. **სამაგისტრო ნაშრომი** - შესრულებისა და დაცვის წესი იხ. წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება.

15. ადამიანური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი აკადემიური პერსონალი:

1. ელზა ფუტკარაძე – ფილოლოგიის დოქტორი (სახელი ქართულში I-II , ქართული ენის ზმნა I-II, ქართული ენის წინადადება, აჭარული და ტაო–კლარჯული კილოები).
2. მედეა რიჟვაძე –ფილოლოგიის დოქტორი(ქართული ონომასტიკა, სამეცნიერო წერა, სახელზმნა, ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი, ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში).
3. თალიკო ბერიძე – ფილოლოგიის დოქტორი(ლექსიკოგრაფია, მწერლის ენა და სტილი, ქართული ფონემატური სტრუქტურა, ლექსიკოლოგია).
4. ლევან ხალვაში – ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ლინგვოსემიოტიკა).
5. იაშა თანდილავა-ფილოლოგიის დოქტორი,ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორია.
6. თამილა ჩურკვეიძე – განათლების დოქტორანტი (უცხო ენა–ინგლისური, Scientific writing).

16. მატერიალური რესურსი:

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტით. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების პრეზენტაცია შესაძლებელია პროექტორის გამოყენებით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით.

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიმართულებას გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო საენათმეცნიერო ლიტერატურა.

ასევე, არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ლექტორის მიერ შედგენილი მოკლე სალექციო კურსებით როგორც ელექტრონული, ისე ქსერო-ასლების ვერსიებით, რომელთა გავრცელებასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

17. დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ძირითადი ენათმეცნიერული პრობლემების მცოდნე სპეციალისტს (რომელმაც კარგად იცის ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური კილოების ძირითადი თავისებურებანი), *შეეძლება იმუშაოს:*

- უმაღლეს სასწავლებლებსა და ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად (განათლების მიმართულებით სათანადო დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ);

  საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციის სტრუქტურებში;
- ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში;
- ისტორიულ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში(პრესა, ტელევიზია, რადიო).

აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე. საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე, სტუდენტის პიროვნული და პროფესიული განვითარების ზრუნვაზე.

სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საბაკალავრო განათლება და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში.

დანართი 1

სასწავლო გეგმა												
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
	სასწავლო კომპონენტები	**80**										
1	ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია	5	125	15	11	4	5	90	5			
2	ქართული ენის ზმნა–I	5	125	15	11	4	5	90	5			
3	სახელი ქართულში–I	5	125	13	13	4	5	90	5			
4	სამეცნიერო წერა Scientific writing	5	125	15	11	4	5	90	5			
5	ლექსიკოლოგია	5	125	15	11	4	5	90	5			
6	ინგლისური ენა,C1-1	5	125		26	4	5	90	5			
7	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი	5	125	15	11	4	5	95		5		
8	სახელი ქართულში–II	5	125	13	13	4	5	95		5		
9	ქართული ენის ზმნა–II	5	125	15	11	4	5	95		5		
10	ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა	5	125	15	11	4	5	95		5		
11	სახელზმნა	5	125	14	12	4	5	90		5		
12	ინგლისური ენა,C1-2	5	125		26	4	5	90		5		
13	ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	5	125	15	11	4	5	90			5	
14	აჭარული და ტაო– კლარჯული კილოები	5	125	13	13	4	5	90			5	
15	ქართული ენის წინადადება	5	125	15	11	4	5	90			5	
16	ქართული ონომასტიკა	5	125	13	13	4	5	90			5	
	არჩევითი საგნები	10									10	
17	ლექსიკოგრაფია		125	15	11	4	5	90				
18	მწერლის ენა და სტილი		125	15	11	4	5	90				
19	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია		125	15	11	4	5	90				
20	ლინგვოსემიოტიკა		125	15	11	4	5	90				
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**										30
	სულ	**120**							**30**	**30**	**30**	**30**

დანართი 2

სწავლის შედეგების რუქა					
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1	ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია	5	+	+	+
2	ქართული ენის ზმნა–I	5	+	+	+
3	სახელი ქართულში–I	5	+	+	+
4	სამეცნიერო წერა Scientific writing	5	+	+	+
5	ლექსიკოლოგია	5	+	+	+
6	ინგლისური ენა,C1-1	5	+	+	+
7	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი	5	+	+	+
8	სახელი ქართულში–II	5	+	+	+
9	ქართული ენის ზმნა–II	5	+	+	+
10	ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა	5	+	+	+
11	სახელზმნა	5	+	+	+
12	ინგლისური ენა,C1-2	5	+	+	+
13	ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	5	+	+	+
14	აჭარული და ტაო– კლარჯული კილოები	5	+	+	+
15	ქართული ენის წინადადება	5	+	+	+
16	ქართული ონომასტიკა	5	+	+	+
	არჩევითი საგნები	10			
17	ლექსიკოგრაფია	5	+	+	+
18	მწერლის ენა და სტილი	**5**	**+**	**+**	**+**
19	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	**5**	**+**	**+**	**+**
20	ლინგვოსემიოტიკა	**5**	**+**	**+**	**+**
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**		**+**	**+**

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები											
	ცოდნა და გაცნობიერება			უნარი						პასუხის-მგებლობა და ავტონო-მიურობა		
სიღრმისეულად და სისტემურად შეასწავლოს ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის აქტუალური საკითხები.	A_1											
შეასწავლოს ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი.		A_2										
შეასწავლოს ქართული ენის სხვადასხვა დარგთა პრობლემური და აქტუალური საკითხები.			A-3									
ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ თავისებურაბათა გამოკვეთა, მათი კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და წარდგენა აკადემიური საზოგადოებისათვის.				B_1								
ქართული სალიტერატურო ენის კილოთა სპეციფიკურობა-თავისებურებათა შეფასება-ანალიზი(ან განსაზღვრა), დიალექტოლოგიურ ტექსტებზე მუშაობა.					B_2							
ქართული ლექსიკოლოგიისა და ონომასტიკის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების განსაზღვრა, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.						B_3						
გააცნობიეროს ქართული ენის ეროვნული და საერთაშორისო ღირებულება.										C-1		
წვლილი შეიტანოს ენათმეცნიერების დარგის განვითარებაში.											C-2	
დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა და დაიცვას პროფესიული ეთიკა.												C-3

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი დონეების მითითებით

(გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება)

სასწავლო კურსი	A1	A2	A3	B1	B2	B3	C-1	C-2	C-3
1.ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია					გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაცნობა გაღრმ-ბა განმტ-ბა		გაღრმ-ბა განმტ-ბა
2.ქართული ენის ზმნა–I	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
3.სახელი ქართულში–I	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა				გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
4.სამეცნიერო წერა Scientific writing		გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
5.ლექსიკოლოგია			გაცნობა გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაცნობა გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
6.ინგლისური ენა,C1-1							გაცნობა გაღრმ-ბა განმტ-ბა		
7.ქართული დიალექტო-ლოგიის პრობლემური კურსი		გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა		გაღრმ-ბა განმტ-ბა		
8.სახელი ქართულში–II	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა					გაღრმ-ბა განმტ-ბა
9.ქართული ენის ზმნა–II	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა				გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
10.ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა				გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
11.სახელზმნა			გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა		გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
12.ინგლისური ენა,C1-2									გაღრმ-ბა, განმტ-ბა
13.ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა					გაღრმ-ბა განმტ-ბა
14.აჭარული და ტაო–კლარჯული კილოები		გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა				გაღრმ-ბა განმტ-ბა
15.ქართული ენის წინადადება	გაღრმ-ბა განმტ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა				გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
16.ქართული ონომასტიკა			გაცნობა გაღრმ-ბა			გაღრმ-ბა განმტ-ბა		გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა
21.სამაგისტრო ნაშრომი				გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა	გაღრმ-ბა განმტ-ბა

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის

სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან
და
მათი სემესტრული განაწილება

(ცხრილში სასწავლო კურსების შესატყვისი ნომრებია მითითებული)

N	პროგრამის სწავლის შედეგები	სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV
1	შედეგი A 1	2, 3.	8, 9, 10.	13, 15	
2	შედეგი A 2	4	7	14	
3	შედეგი A 3	5	11	16	
4	შედეგი B 1	2, 3	8, 9, 10.	13, 15,	21
5	შედეგი B 2	1, 4.	7	14	21
6	შედეგი B 3	5, 1	11	16	21
7	შედეგი C 1	1, 2, 5, 6	7		21
8	შედეგი C 2	2, 3, 4, 5	9, 10, 11	15, 16	21
9	შედეგი C 3	1, 2, 3, 4, 5,	8, 9, 10, 11,12	13, 14, 15, 16,	21

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის

წინაპირობათა ცხრილი

№	საგნის დასახელება	დაშვების წინაპირობა
	სასწავლო კომპონენტები	
1	ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია	წინაპირობა არ აქვს
2	ქართული ენის ზმნა–I	წინაპირობა არ აქვს
3	სახელი ქართულში–I	წინაპირობა არ აქვს
4	სამეცნიერო წერა Scientific writing	წინაპირობა არ აქვს
5	ლექსიკოლოგია	წინაპირობა არ აქვს
6	ინგლისური ენა,C1-1	B2
7	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი	წინაპირობა არ აქვს
8	სახელი ქართულში–II	წინაპირობა არ აქვს
9	ქართული ენის ზმნა–II	წინაპირობა არ აქვს
10	ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა	წინაპირობა არ აქვს
11	სახელზმნა	წინაპირობა არ აქვს
12	ინგლისური ენა,C1-2	C1-1
13	ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	წინაპირობა არ აქვს
14	აჭარული და ტაო– კლარჯული კილოები	წინაპირობა არ აქვს
15.	ქართული ენის წინადადება	წინაპირობა არ აქვს
16.	ქართული ონომასტიკა	წინაპირობა არ აქვს
	არჩევითი საგნები	
17	ლექსიკოგრაფია	წინაპირობა არ აქვს
18	მწერლის ენა და სტილი	წინაპირობა არ აქვს
19	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	წინაპირობა არ აქვს
20	ლინგვოსემიოტიკა	წინაპირობა არ აქვს.
21	**სამაგისტრო ნაშრომი**	სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის აუცილებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები და არ გააჩნდეს აკადემიური დავალიანება

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები

სწავლის შედეგი A-1.

იცის ქართული ენის ფონემატური საკითხები, სახელის თავისებურება ქართულში, სახელის ფუძის დერივაციული მოდელი, ბრუნვათა ფუნქციები, ზმნური კატეგორიები, ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხები, ზმნურ ფორმათა წარმოების ყალიბი, ზმნის კონსტრუქციები, ქართული ენის წინადადების სტრუქტურა, თავისებურება, შესიტყვების აგებულება და შედგენილობის საკითხები.

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის ქართული ენის ფონეტიკის საკითხები.
2. აქვს ცოდნა ქართული ენის სახელურ კატეგორიათა შესახებ.
3. იცის ქართული ენის ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხი.
4. აქვს ცოდნა ქართული ენის წინადადების თავისებურების შესახებ.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A – 1 10,2,3,8, 9,13,15 სილაბუსები	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	10-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 2-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 3-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 8-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 9-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 13-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 15-მესამე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ცოდნა ქართული ენის ფონეტიკის საკითხების					
ცოდნა ქართული ენის სახელურ კატეგორიათა შესახებ.					
ცოდნა ქართული ენის ზმნურ კატეგორიათა ფორმირებისა და წარმოების საკითხისა.					
ცოდნა ქართული ენის წინადადების თავისებურების შესახებ.					

სწავლის შედეგი A-2.

იცის ქართული ენის დიალექტების გრამატიკული თავისებურებანი, ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები.

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის ქართული ენის დიალექტთა გრამატიკული თავისებურება.
2. განსაზღვრავს ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითად საკითხებს.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A - 2 4, 7, 14 სილაბუსები	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	4-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 7-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 14-მესამე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ცოდნა ქართული ენის დიალექტთა თავისებურებისა					
განსაზღვრა ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითად საკითხების.					

სწავლის შედეგი A-3.

იცის სახელზმნის მოდელის ცვლის მექანიზმი ისტორიული თვალსაზრისით, ონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები.

შეფასები ინდიკატორები:

1. იცის სახელზმნის კატეგორიათა საკითხები.
2. განსაზღვრავს ონიმთა წარმოქმნა-ფუნქციონირების თავისებურებებს.
3. იცის ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A – 3 11, 16, 5 სილაბუსები:	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	11- მეორე სემესტრის ბოლო სესია, 16-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 5-პირველი სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ცოდნა სახელზმნის კატეგორიათა საკითხების.					
განსაზღვრა ონიმთა წარმოქმნა-ფუნქციონირების თავისებურებების.					
ცოდნა ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხების.					

სწავლის შედეგი B -1.

შეუძლია ქართული ენის ფონემატურ, სახელურ და ზმნურ კატეგორიათა, წინადადების სტრუქტურა -მექანიზმის თავისებურებათა შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე აღწერა, ანალიზი, შეფასება, ენათმეცნიერული ფაქტების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება, კრიტიკულ ხედვა, კვლევის შედეგების განზოგადება და წარდგენა აკადემიური საზოგადოებისათვის.

შეფასები ინდიკატორები:

1. შეუძლია ქართული ენის ფონემატურ თავისებურებათა შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე აღწერა, ანალიზი და კრიტიკული ხედვა.
2. აანალიზებს ქართული ენის სახელურ და ზმნურ კატეგორიებს, განაზოგადებს კვლევის შედეგებს.
3. შეუძლია წინადადების სტრუქტურული ანალიზი და წარდგენა აკადემიური საზოგადოებისათვის.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B– 1 10,2,3,8, 9,13,15,21 სილაბუსები.	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	10-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 2-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 3-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 8-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 9-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 13-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 15-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ქართული ენის ფონემატურ თავისებურებათა შესახებ მსჯელობა, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე აღწერა, ანალიზი და კრიტიკული ხედვა.					
გააანალიზება ქართული ენის სახელური და ზმნური კატეგორიების, კვლევის შედეგების განზოგადება.					
წინადადების სტრუქტურული ანალიზი და წარდგენა აკადემიური საზოგადოებისათვის.					

სწავლის შედეგი B-2.

შეუძლია ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხების კლასიფიკაცია, პრობლემების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა-მოძიება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ენათმეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

შეფასები ინდიკატორები:

1. იცის ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხები და დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B-2 4, 7, 14,1,21 სილაბუსები:	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	4-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 7-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 14-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 1-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ცოდნა ქართული ენის დიალექტთა ძირითადი და საკვანძო საკითხების და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.					

სწავლის შედეგი B-3.

შეძლებს ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლემური საკითხების დიფერენცირებას, მათ კრიტიკულ ანალიზს, საკამათო საკითხებზე დისკუსიას თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით, საკუთარი შეხედულების(თვალსაზრისის) ნათლად, აკადემიურად წარმოდგენას,ახდენს კვლევის შედეგების და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ამზადებს პრეზენტაციას ქართული ენის საკითხების შესახებ.

შეფასები ინდიკატორები:

1. შეუძლია ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლებური საკითხების დიფერენცირება, კვლევის შედეგების დემონსტრირება, კვლევის წარდგენა- პრეზენტაცია, დისკუსია.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B-3 11, 16, 5,1,21 სილაბუსები	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	11- მეორე სემესტრის ბოლო სესია, 16-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 5-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 1-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა პრობლებური საკითხების დიფერენცირება, კვლევის შედეგების დემონსტრირება, კვლევის წარდგენა-პრეზენტაცია, დისკუსია.					

სწავლის შედეგი C-1.

აცნობიერებს ქართული ენის ეროვნულ და საერთაშორისო ღირებულებას.

შეფასები ინდიკატორები:

1. გაცნობიერება ქართული ენის ეროვნული და საერთაშორისო ღირებულების.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. C-1 სილაბუსები: 1,2,5,6,7,21	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	1-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 2-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 5-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 6-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 7-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
გაცნობიერება ქართული ენის ეროვნული და საერთაშორისო ღირებულების.					

სწავლის შედეგი C-2.

მოქმედებს პროფესიული ეთიკის დაცვით, შეუძლია სხვისი აზრის შეფასება და პატივისცემა; იცავს გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპებს.

შეფასები ინდიკატორები:

1. იცავს პროფესიულ ეთიკას.
2. აფასებს და პატივს სცემს სხვის აზრს.
3. იცის გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. C-2 სილაბუსები: 2,3, 4, 5, 9, 10, 11,15,16,21	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია,	2-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 3--პირველი სემესტრის ბოლო სესია, 4-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 5-პირველი სემესტრის ბოლო სესია, 9-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 10-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 11-მეორე სემესტრის ბოლო სესია, 15-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 16-მესამე სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
დაცვა პროფესიული ეთიკის.					
დაფასება და პატივისცემა სხვისი აზრის.					
დაცვა გუნდური მუშაობის პრინციპების.					

სწავლის შედეგი C-3.

აქვს შეძენილი ცოდნის განახლება-გაღრმავების, დამოუკიდებელი მუშაობისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, ლინგვისტური კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს.

შეფასები ინდიკატორები:

1. აცნობიერებს შეძენილი ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას.
2. დამოუკიდებლად წარმართავს მუშაობას.
3. აქვს სტრატეგიული დაგეგმვის და აკადემიური სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარი.

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. C-3 სილაბუსები: 1, 2, 3,4,5, 8,9,10, 11,12.13,14,15,16,21	პირდაპირი: ზეპირი გამოკითხვა, აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია.	1; 2; 3; 4; 5; -პირველი სემესტრის ბოლო სესია, 8; 9; 10; 11; 12 - მეორე სემესტრის ბოლო სესია, 13; 14; 15; 16; - მესამე სემესტრის ბოლო სესია, 21-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია.	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფი-ლებს	მეტწილად აკმაყოფი-ლებს	აკმაყოფი-ლებს	ნაწილობრივ აკმაყოფი-ლებს	სრულად ვერ აკმაყოფი-ლებს
გაცნობიერება შეძენილი ცოდნის გაღრმავების აუცილებლობის.					
დამოუკიდებლად წარმართვა მუშაობის.					
სტრატეგიული დაგეგმვის და სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარის ქონა.					

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის საკითხები ქართველურ ენათმეცნიერებაში

1.ქართული სალიტერატურო ენა და მისი საერთო-სახალხო მნიშვნელობა
2. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია
3. ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მომხდარი ცვლილებები, ანტონ კათალიკოსი და სამი სტილის თეორია, ილია ჭავჭავაძის რეფორმატორული საქმიანობა
4. ქართული სალიტერატურო ენის წარწერები და ხელნაწერები
5. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები

ფონეტიკა:

1.ფონეტიკის საგანი.
2.სამეტყველო ბგერა და ფონემა
3. საწარმოთქმო აპარატი.
4. არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი
5. სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაცია
6. ხმოვანთა კლასიფიკაცია, ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედი
7. თანხმოვანთა კლასიფიკაცია(წარმოების ადგილის,წარმოთქმის როგორობის მიხედვით)
8. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები(ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათა დაკარგვა, მეტათეზისი, რედუქცია, კვეცა, სუბსტიტუცია, ბგერის გაჩენა, ბგერის დაკარგვა, ალტერნაცია, აბლაუტი, ელიზია, კონტამინაცია, ანალოგია, ბგერის დაყრუება)
9. მარცვალი
10.მახვილი

მორფოლოგია:

1.მორფოლოგიის საგანი. ს ი ტ ყ ვ ა. გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი.
2. სიტყვათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია.
3.სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა(ძირი, ფუძე, მორფემა). სიტყვის მორფოლოგიური აგებულების ცვლა
4. მეტყველების ნაწილები:მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის საფუძველი
5. არსებითი სახელი, მნიშვნელობა, შინაარსობრივი ჯგუფები
6. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები
7. ბრუნვის ნიშნის გავრცობა. ემფატიკური ა და მისი გამოყენების შემთხვევები ქართულში.
8. არსებითი სახელის რიცხვი.
9. არსებითი სახელის ფუძე
10. ბრუნვათა რიგი ქართულში. ბრუნვის ნიშანთა გენეზისი
11. ბრუნების პირველი ტიპი:თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება, თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ბრუნება
12. ბრუნების მეორე ტიპი. ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელების ბრუნება, კუმშვად–კვეცადი სახელები
13. თავისებურად ბრუნებადი სახელები
14. ბრუნების მესამე ტიპი. ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნება.
15. თანდებულიანი ბრუნვები. ლოკალური ბრუნვები
16. ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოება
17. ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად
18. რიცხვითი სახელის რაობა, შინაარსობრივი ჯგუფები და მათი წარმოება, ქართული თვლის სისტემა
15. რიცხვითი სახელების ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად
16. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი. ნაცვალსახელთა შინაარსობრივი ჯგუფები და მათი ბრუნება
17. ზმნა. ზმნის მნიშვნელობა და მისი კატეგორიები

18. ზმნის პირი, რიცხვი. სუბიექტური პირის ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ობიექტური პირის ნიშნები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში
19. ზმნის დ რ ო. ზმნის კ ი ლ ო.
20. ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი , გეზი და ორიენტაცია.
21. ა ს პ ე ქ ტ ი
22. სერიები და მწკრივები. I სერია, II სერია, III სერია
23. გ ზ ი ს ო ბ ა (ჯეროზა). ა ქ ტ ი (საქმე).
24. გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ა
25. გ ვ ა რ ი, მოქმედებითი გვარი და კონვერსია, ვნებითი გვარი (სტატიკური და დინამიკური-ინიანი, ენიანი, უნიშნო, დონიანი), საშუალ-მოქმედებითი და საშუალ-ვნებითი გვარის ფორმები
26. ქ ც ე ვ ა
27. კონტაქტი
28. ზმნის ფუძე და თემა.
29. დეფექტური ზმნები
30. უღლება. უღლების ტიპები
31. ზმნიზედა, რაობა, შინაარსობრივი ჯგუფები
32. თანდებული.
33. კავშირი.
34. ნაწილაკი, შორისდებული.
35. წარმოქმნა. წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები და მათი წარმოება
36. თხზვა. თხზული სახელები.

სინტაქსი:
1. სინტაქსის საგანი და ამოცანები .
2. წინადადება, მისი გამოხატვის საშუალებანი
3. სინტაქსური წყვილები. წყვილთა რაოდენობა წინადადებაში
4. სინტაქსური კავშირი, გამოხატვის საშუალებანი
5. სინტაქსური შეკავშირების სახეები:შეთანხმება, მართვა, მირთვა
6. წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით
7. წინადადების წევრი, მთავარი და არამთავარი წევრები
8. შემასმენელი (მარტივი და შედგენილი)
9. ქვემდებარე. ქვემდებარე გარდამავალ და გარდაუვალ ზმნასთან
10. პირდაპირი და ირიბი დამატება
11. უბრალო დამატება
12. განსაზღვრება, რაობა, სახეები
13. გარემოება, შინაარსობრივი ჯგუფები
14. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით.
15. მარტივი წინადადების სინტაქსი, მარტივი წინადადების ტიპები(მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით, გავრცობილი, გაუვრცობელი, სრული, უსრული, უქვემდებარო, ქვემდებარე გაუჩინარებული, განზოგადებული, სახელდებითი)
16. შერწყმული წინადადების სინტაქსი
17. რთული წინადადების სინტაქსი
18. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.განკერძოების რაობა და პირობები
19. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა–გამოთქმები